



ევროპის ერთა თასი

საქართველო

ჩეხეთი

ბერლინი, 12 ივნისი, 2005 წელი

ქუთაისი

დასაწყისი ექვს საათზე

The image consists of a series of stylized, swirling, cloud-like or flame-like shapes. These shapes are rendered in two colors: a vibrant blue and a bright magenta/pink. They are arranged in a staggered, flowing pattern that curves from the top left towards the bottom right. The shapes overlap and connect at their ends, creating a sense of motion and depth. The overall aesthetic is modern and artistic, resembling a digital or graphic design element.



რაგბი ქუთაისში ბრუნდება

ქართული რაგბის თემი ქუთათურთა წინაშე გაღმია: ქალაქს, სადაც „ბორჯლალოსნების“ საერთაშორისო ნათლობა შედგა, ამდენი ხანი იყო, ეროვნული ნაკრები თვალდა-თვალ ვეღარ ეხილა.

ახლა ეს ხინჯი სწორდება. მრავალი „ბორჯლალოსნის“ გამზრდელ წიაღში საქართველო ჩეხეთს ერკინება და მთელი ქვეყნის გულისყურიც „აიას“ მშობელი ქალაქისკენაა მიპყრობილი. გვჯერა, რომ „ერთა თასის“ მატჩის ქუთაისში გამართვა რიონის ბირად სპორტულ მაჯის-ცემას გამოაცოცხლებს და სრულიად იმერეთშიც რაგბის აღორძინების საწინდარი გახდება.

„აიას“ სადღეისო გასაჭირი სარაგბო ოჯახს აღალად აწუხებს. გვახსოვს ჭიათურის კოლორიტული ქლუბიც. უმათოდ „ბორჯლალოსნები“ უტეხ, ბოლომდე მებრძოლ ძალად გერ ჩამოყალიბდებოდნენ და გერც ქომაგთა საყვარელ გუნდად იქცეოდნენ.

დიდ რაგბს დანატრებული ფანთბა ამ წიგნაკით ოფალური ბურთის სამყაროში გზას გაიგნებს. მკითხველი გაეცნობა ჩეხებს და მათთან ჩვენი რაგბობის ისტორიას, შეიტყობს ნაკრების სულ ბირველი მატჩის კულუარულ წვრილმანებს, იხილავს „ბორჯლალოსანთა“ და „აიას“ ზუსტ სტატისტიკას, ჩაწვდება მსოფლიო თასის შესარჩევთა რთულ სისტემას, რაგბთან ჯერაც უზიარებელი წვრილფეხობა კი თამაშის ანბანს შეიძენებს.



რანი არიან ჩეხები

„ბურუუაზიულ“, მასარიკის ჩეხოსლოვაკეთ-ში რაგბი საფრანგეთიდან შეიტანა მწერალმა ონდრე სიკორამ, რაგბის კაფშირი, „ჩესკა რაგბიოფა უნიე“ კი 1926 წელს დაარსდა. ერთი წლის შემდეგ ჩეხეთმა პირველი ტესტი გა-მართა, ოდონდაც სლოვაკეთის ცენტრ ბრატისლავში და 5:21 წააგო რუმინეთთან.

რაგბი სლოვაკეთი გახსენეთ, უნდა ითქვას, რომ რაგბი ერთიან ქვეყანაში მხოლოდ ბოჭე-მიასა და მორავიაში გამოცელდა, რის გამოც 1993 წელს რომ დაიშალა ორი ერის კაფშირი, ოფალური ბურთის თემს არა მოპკლებია რა და ეფრობული რაგბის რუკაზეც სლოვაკეთი შარშანდლამდე თეთრ ლაქად რჩებოდა.

1934 წელს ეგრობული ზირა (ახლანდელი ზირა ამრ) რომ შეიქმნა, ჩეხოსლოვაკეთი მი-სი ერთერთი დამფუძნებელი იყო. მაღვე და-იწყო მსოფლიო ომი, სოციალიზმის ხანაში კი ჩეხები სისტემატურად მხოლოდ „გარშავის ბაქტის“ ქვეყნებს ერაგბებოდნენ.

ჩეხურ რაგბს ოქროს ხანა „ბრადის გაზა-ფხულის“ წინ დაუდგა. 1966 წელს რუმინეთი პრადაში ფრეს, 9:9 დასჯერდა, 1967 და 1968 წლებში კი ჩეხეთმა „ერთა თასზე“ მესამე ად-გილი დაიჭირა.

მას აქეთ ჩეხური რაგბი დაგნინდა. საბჭოთა ტანკების შეჭრის შემდეგ დემოკრატია ქვე-ყანაში შეიზღუდა და ოფიციოზმა სპორტშიც ძალუმად დაიწყო ჩარეგა. 1977-78 წლების სეზონში გუნდმა 6:60 რომ წააგო რუმინეთ-თან, სპორტის ღვაწლმოსილმა მინისტრმა,

ანტონინ ჰიმლმა კაგშირის იმუამინდელი (და ახლანდელიც!) თაგგაცი, აწ უკმე „ჩეხური რაგბის ნამუსად“ შერაცხული ედუარდ კრუცნერი დაიბარა და ჰკითხა, სტეროიდების რა პორ-ცია იქმარებს გუნდის წამოსაწევადო.

რაგბის მამამ პარტიულ ფუნქციონერს წა-უყრუა. ეგრე არ უნდათ და მინისტრმა რაგბის ნაკრები ხუთი (!) წლით ჩამოაშორა საერთა-შორისო ასპარეზს. გიდრე ეგ მოხდებოდა, 1976 წლის 17 ოქტომბერს, ზირა-ს ასპარეზე პირველი ტესტის მოთამაშე სსრპ ჩეხებმა რეინაში, კოკისპირულ წვიმაში 9:6 ძლიერს.

მერე კომუნიზმი თანდათან დასუსტდა, მაგ-რამ საბაზრო ეკონომიკის ბირობებში სანახეგ-როდ სამოყვარულო თამაშმა მაინც ვერ იხარა. თავად განსაჯეთ: სპორტის სამინისტროს პრი-ორიტეტთა ნუსხაში თვალურბურთა თამაშს დართსის (ბუნიკობანა, ანუ ლუდით შეზარ-ხოშებული მუშტრების საბარო გასართობი!) კვალიად ოდენ ნე-ე აღგილი უჭირავს.

და მაინც, შარშანწინ რაგბის თემს მხსნე-ლი მოევლინა. „სოსიეტე უენერალი“ შინ, სა-ფრანგეთიშიც არ აკლებს რაგბს მზრუნველობას და ჩეხეთში „კომუნიზმი ბანკი“ რომ ფი-ლიიალად გაიხადა, იქაც გადააფარა მზრუნვე-ლი კალთა დაჩაგრულ თამაშს.

ხელისუფლების მხრივ უგულისყურობის მი-უხედავად, ნაკრებმა მაინც უმატა თამაშს. რომ გაჩადგა 2003 წლის მსოფლიო თასის შესარ-ჩევი შეჯიბრი, მანამდე „ერთა სინზე“ უხეიროდ მოასპარეზე გუნდი გარდაისახა და 2001 წლის

შემოღომაზე ოთხივე მატჩი მოიგო: შინ 46:3 ძლია ბელგია, გარეთ 32:6 შვეიცარია, ისევ გარეთ, 13:5 ხორვატია და შინ, 26:8 უკრაინა.

ამით ჩეხეთი შემდევ სტადიაზე „ერთა თასზე“ ხელმოცარულებს, რუსეთსა და პოლანდიას შეუამხანაგდა. რუსეთს ჩეხებმა 2002 წლის მართლმადიდებლურ აღდგომაზე, დილის 11 საათზე უმასპინძლეს და ჯერ 18:37 წაგეს რაგბი, მერე კი ლუდის სმაც! სამაგი-ეროდ, ორი კვირის თავზე ამსტერდამში 54:12 მოსრეს პოლანდია და დაამტკიცეს, რომ „ერთა თასზე“ ასფლა ალალად ეკუთვნოდათ.

მას აქეთ აგერ უკვე მესამე სეზონია, ჩეხეთი ჩვენს კომბანიაშია. გუნდმა ორ-ორჯერ ძლია ამქრიდან აწ უკგე გარიცხული ესპანეთი (40:38 სტუმრად და 16:6 შინ) და თვით რუსეთიც (ორიგეჯერ შინ; 2003 წელს 27:13, წლეულს 11:7). ჩეხები „ერთა თასის“ ამჟამინდელ ჯილას, ბორტუგალიასაც ორჯერ მაგრად გაუძალიანდნენ და მხოლოდ 8:13 და 13:19 წაგეს. ერთი სიტყვით, ჩვენი სტუმრი ხელწამოსაკრავი მეტოქე სულაც აღარაა, მაგრამ კლასით „ბორჯლალოსნებთან“ ჯერაც გერ მივა.

XII საუკუნეში ჩეხთა ლიდერები მორკინალები, იან მახაჩეკი და ლადია გონდრაშეკი არიან. ბირგელმა რაგბით ნახევარი მსოფლიო მოგლოთ: დაიწყო ბრალის „სლავით“, მერე თამაშობდა დანიდინის (ზელანდია) „პაირატსში“, უელსის „ნიუბორტში“, ინგლისის „სეილში“, უელსის „ბონტიპრიზში“ და საფრანგეთის „მონფერანში“; ბოლოს დაბა რუსიანის კლუბში ახარებდა ჭიას, წელს კი, ინგლისურის ცოდნისა გამო, ნაკრების მედია-ატაშეა!

მეორეც კარგა ხანია ინგლისის ქვედა დივიზიონებში რაგბობს. კარგები არიან საფრანგეთში მოღვაწე ბეკებიც, ორი მარტინი, იაგრი და კაფკა. ბირგელი ჩვენი გია ლაბაძის გუნდელია „ტულონში“, მეორის გამო კი სარაგბო ბრობაგანდა ხელიდან შანსს არ გაუშვებს, რომ არ შენიშნოს, დიდი მწერლის, ფრანცის ბირდაბირი შთამომაგალიათ.

ჩეხეთი

(წლეულს, 19 მარტს, რუსეთის მომრვევი)

ბეჭედი

- 15 ტომაშ კრეიჩი (სან სატურნენი სზრ)
- 11 მარტინ იაგრი (ტულონი სზრ)
- 14 მიხალ შლანგერი (ბეტროვაცე)
- 13 მარტინ ბერებეკი (რუსიანი)
- 12 ანტონინ ბრაბეცი (სმინოვი)
- 10 მარტინ გაფება (მეტრო რასინგი სზრ)
- 9 ბაველ სირფი (მრავა)

ფორმალურები

- 1 ირჟი სკალი (სბარტა)
- 2 ლუკაშ რაბანტი (სან ნაზერი სზრ)
- 3 იან კუბალეკი (რუსიანი)
- 4 რობერტ ვოგესი (სან ნაზერი სზრ)
- 5 იოზეფ ვებერი (ბრნო)
- 6 იან უილა (სმინოვი)
- 7 ბაბ ლადია გონდრაშეკი (ბრექნელი 058)
- 8 მიროსლავ ნემეჩეკი (ბრექნელი 058)

მარტაფა

- 22 იან ტომჩიკი (პაგირუოვი)
- 21 იან რობერტი (სან ნაზერი სზრ)
- 20 ვიტეზლავ დოსედლა (ბრნო)
- 16 იან თსგალდი (სმინოვი)
- 17 ბაველ ინდრაბეკი (ფიპლებელი უმლ)
- 18 უან-ბაბტისტი სოუჩებე (მიელანი სზრ)
- 19 ბატრიკ ლერთხი (პაგირუოვი)

მწერთსელი: კრისტიან გალონიე (სზრ)

დოკუმენტაციური და უტყუარი სარაგბო ინფორმაცია

ყოველდღიური
სპორტული გაზეთი



მსოფლიო რაგბის საითი www.GeoCities.com/DidiRagbi
რაგბის კაგშირის საითი www.GeorgianLelos.com

ოთხიდან ოთხი!

ჩეხებს რაგბში პირველად 1968 წელს, „საქართველოს ტელევიზიის თასზე“ გაგეჯიბრეთ. 70-იან წლებში თბილისის უნივერსიტეტი დაუმეგობრდა ბრადისას, 80-იანში კი ჩეხეთი „შეგარდენბა“ მოიხილა.

ნაკრებთა დონეზე ჩეხებთან ოთხი მატჩი გაგვიმართავს და ოთხჯერგე გაგვიმარჯვნია. ჯამური ანგარიშია 91:39, ლელოთა ბალანსი კი 12-2. სულ პირველი რკენა ცხრა წლის წინ, წითელ პარასკევს, თავსხმა წევიმაში იყო.

იმხანად შუაეგრობელები ვირა-ს ამქრის ვეტერანები იყვნენ, ხოლო ჩეხებ ახალბედები, მაგრამ მამათა ვარაუდის საწინააღმდეგოდ, მოვიგეთ და იქედან მოყოლებული ზეპურ ასბარეზე ბეგრად მეტს მივაღწიეთ, ვიდრე ჩეხებმა ლამის 80 წლის მანძილზე. სხვა რომ არა იყოს რა, 2001 წელს „ერთა თასი“ ავიდეთ, 2003 წელს კი მსოფლიო თასზეც გირაგეთ!

1996 წლის 12 აპრილი
საქართველო 20:3 ჩეხეთი

საბ: (15-9) მაჩიტიძე, სპ.ლიაბარტელიანი (საკანდელიძე 80), ჯიმშელაძე, ალანია, ქავთარაშვილი; იურინი, შ. მოდებაძე (ხუციშვილი 68) / (1-8) ჩიქავა, მთიულიშვილი, ბაბუნაშვილი (ა. გიორგაძე 41); დიბრაძე, პარწიკანაშვილი; ობოლაძე პაპ, ფხაგაძე, დოდებულიძე (ზ. ლეუსავა 52) – **ვლ:** ქავთარაშვილი, ჯიმშელაძე, იურინი; ბ: მოდებაძე; ს: მაჩიტიძე

ჩმს – ს: 14 შტოურაჩი

მსაჯი გალანდა (რუმინეთი). თბილისი, გაგე – 7:0(1) 12:0(23) 15:0(30) / 15:3(44) 20:3(53)

1996 წლის 22 სექტემბერი
ჩეხეთი 14:18 საქართველო

საბ: იურინი, ჯიმშელაძე, ჩიქინიძე, ალანია, ბუგიანიშვილი (მაჩიტიძე); ტეფნაძე, შ. მოდებაძე / ჩიქავა, მთიულიშვილი, ფირცხალავა (ცაბაძე); ზ. მჭედლიშვილი, ზ. ლეუსავა; ობოლაძე პაპ, ლაბაძე, ჯაფარაშვილი – **ვლ:** ფირცხალავა, მაჩიტიძე; ბ, 2ს: მოდებაძე

ჩმს – ლ; ვს

მსაჯი ბორდნავი (საფრანგეთი). ბრადა, სმინგი – 0:3 3:3 10:3 10:6 / 10:9 10:14 15:14 18:14



2003 წლის 22 მარტი
ჩეხეთი 15:30 საქართველო

საბ: ხამაშურიძე, ხეხელაშვილი, ზიძზიძაძე, კაცაძე (კვირიკაშვილი), გუნდიშვილი; ჯიმშელაძე, აბუსერიძე / მთიულიშვილი (ხინჩაგიშვილი), შველიძე, რატიანიძე; ზ. მჭედლიშვილი, ნადირაძე (დიდებულიძე); ლაბაძე (ჩხაიძე), იაშვილი (ბოლდაშვილი), ზედგინიძე პაპ – **ვლ:** ზიძზიძაძე, ხამაშურიძე, ლაბაძე, შველიძე, ზედგინიძე; ბ, ს: ჯიმშელაძე

ჩმს – 4ს, ბ: 10 კაფება. მსაჯი დამასკო (იტალია). ბრადა, სმინგი – 5:0 10:0 10:3 10:6 10:9 / 15:9 22:9 22:12(ა) 25:12 25:15 30:15

2004 წლის 20 მარტი
საქართველო 23:7 ჩეხეთი

საბ: ბარკალაია, გუგავა (ბინჩეგოვი 71), ზიძზიძაძე, ფირფილაშვილი (ანდლულაძე 40), შეკინინი; ქვინიხიძე, კვირიკაშვილი (სამხარაძე 60) / მთიულიშვილი (კუთარაშვილი 52), დადუნაშვილი, ჭავჭავაძე (ესაკია 48); ზედგინიძე პაპ (დ. ულენტი 68), გორგობე; უდესიანი, ზ. მაისურაძე, ჩხაიძე (ბაბაშვილი 68) – **ვლ:** ზედგინიძე, გორგობე; 2გ, ვს: ქვინიხიძე

ჩმს – ლ: 15 რობლიკი; ბ: 10 კრეიჩი. მსაჯი გაბაძე (გერმანია). თბილისი, ეროვნული – 3:0(28) 10:0(30) 13:0(37) 16:0(40“2) / 23:0(63) 23:7(80“3)

1989



http://www.GeoCities.com/DidiRagbi/2004-09/10_Borj-15teli.htm

ქუთაისური ნათლობის გახსენება

1989 წლის შემოდგომა იყო, ეროვნული ენ-თუზიაზმის აღიაღი აზვირთების ხანა. ჰაურში მომავალი დამოუკიდებლობის სურნელი ტრიალებია. რაგბი სპორტული თვითმყოფადობის დამკვიდრებისთვის წამოწყებული საყოველოთაო ლაშერობის აგანგარდში იდგა. ამ არაოლიმპიურ ბურთაობას იმპერიული სპორტის მამები აღმაცერად უცქერდნენ. ფხიანმა ქართველებმა იაზრეს და რუსთა გვერდის ავლით, სახეობათაგან ერთ-ერთმა ბირველებმა მიმართეს საერთაშორისო გაერთიანებას, სუვერენული ქვეყანა გართ და ბურთაობა მსოფლიო დონეზე დამოუკიდებლად გვსურსო.

რაგბის საერთაშორისო საბჭოს (მრბ) ახალი დაწყებული პქნიდა თამაშის მსოფლიოში გაფრცელებისა და განვითარების კამბანია. „პერესტროიკის“ მიუხედავად, საბჭოური სპორტის დიდმოხელეები, პოლიტიკურ მოსაზრებათა გამო, „რეგბის ფედერაციას“ მრბ-ში შესვლის ნებას არ რთავდნენ, რის გამოც „რეგბისტა“ თაობებს გაუცდათ ბირველი და მეორე მსოფლიო თასები.

საქართველო მრბ-ს რომ შეეხმიანა, მსოფლიო რაგბის ოღრაშებს გაეხარდათ, მაგოტო-

ლა ქვეყანაში ძლიერ გამოჩნდა ხალხი, ვინც ცხვირს არ გვიბზუებს და დემაგოგიურად არ გვთხოვს იმათ მოკვეთას, ვისაც ოდებმე (!) რასტულ სამხრეთ აფრიკასთან უთამაშიაო.

თუ ქვეყანა გართ, მაში ეროვნული გუნდიც უნდა გვყავდესო და „რეგბის ფედერაციის“ მაგივრად გამოცხადებულმა საქართველოს რაგბის კავშირმა (სრბ) ნაკრების შედგენა დაისახა მიზნად. გუნდის შექმნისა და ნათლობის საქმეს ფრიადი ამაგი დასდეს კავშირის პრეზიდენტმა ალექს გოცირიძემ, სახელმწიფო მწვრთნელმა დაგით კიდასონიამ, „აიას“ მწვრთნელმა დუგლას კავთველაშვილმა, ქუთაისური რაგბის თაგბაცმა რამაზ ყანჩაგელმა და ვეტერანთა აქტივმა.

იმხანად ეფრთბა უნდა მოეხილა სამულებელი სამხრეთი აფრიკის ანტიპოდსა და გამოსწორებულ მეზობელს, ზიმბაბვეს (ყოფილი სამხრეთი როდეზია), რომელიც ბირველ მსოფლიო თასზე ნათამაშევიც კი იყო. ჩვენს მოღვაწეებს საბჭოური რაგბის უფროსობაში საკმაო გავლენა პქნიდათ. მათ უპრობლემოდ დაიყოლიეს მოსკოველები, რათა სტუმარს ერთი მატჩი საქართველოში გაემართა.

„ცენტრი“ ხვდებოდა, კაგბასიელები რასაც გეგმავდნენ, მაგრამ მწვადისა და სასმელის მოყვარული რუსი ფუნქციონერები იმპერიულ ბატრიოტიზმს არად დაგიდევდნენ და უკანას-კნელ ლხინზეც უარს გერ იტყოდნენ.

საქართველო – ზიმბაბვეს ტესტი, ანუ რა-გინდარა ყაიდაზე და მოყვანილობის ბურთით მოთამაშე ქართველთა ნაკრების ნათლობის მატჩი, ასე დაინიშნა „მამა-ქალაქ“ ქუთაისში. ეს რიონისბირელ მორაგბეთა ღვაწლის აღი-არება იყო და ქუთათურებზე უმოთაც გერაგინ შეძლებდა ესოდენ მნიშვნელოვანი ღონისძი-ების მასპინძლობას.

ნაკრების შემადგენლობა უმტკიგნულოდ, მაგრამ ნაუცხათევად შეირჩა. ტესტამდე ცხრა დღით ადრე ვაკეში, საკავშირო ბირგელობის კალენდარულ მატჩი, მტურად წაიბურთავეს „ელმაგალმა“ და „აიამ“. ნამატჩევს, გასახდელ-თან გაჩერებულ ავტობუსთან ბრესის ასოკირ-კიტა წარმომადგენელმა კილასონიასა და კავ-თელაშვილს სთხოვა, გუნდის სია მიკარნახე-თო. მწვრთნელებს შემადგენლობის გამო ად-რეც ემსჯელათ, მაგრამ სახელდახელო პრე-

ზენტაციას დაინტერესებული ხალხი ბლომად შეესწორ და საკუთარი აზრი შეაშველა სე-ლექტორებს. მერე ჩვენი კლუბები სტუმრად გაფრინდნენ სათამაშოდ და მატჩამდე სამი ღლით აღრედა გაერთიანდნენ ქუთაისში, სადაც საბოლოოდ დადგინდა 21-კაცა რაზმი (იმხა-ნად მარქაფაში ექვსი კაცი გეჯდა და მხო-ლოდ სამის გამოყენება შეგეძლო).

დიდი ვნებათლელვა მოყვა სათამაშო სამო-სის შერჩევას. რაუამს ნაკრების შექმნის აზრი გამოითქვა, ყველას თითქო ვამა მისი შინდის-ფრად შემოსვა, მაგრამ კულუარებში რაღაც მანქანები ამოქმედდნენ და გუნდისთვის შოტ-ლანდიურად ისფერი გერთიერი შეაკერინეს.

მუხლობა თამაშამდე ორი კვირით ადრე გამუდაგდა. პრესაში ხმაური ატყდა. გამოჩნდა თამამი და ღვთისნიერი კაცი, გლდანის ტრი-კოტაჟის ფაბრიკის გენერალური დირექტო-რი რუდოლფ რაქვიაშვილი, ვინაც თაგიდან, უსასყიდლოდ შეუკერა შინდისფერი კვართე-ბი ეროვნულ ნაკრებს და რაგბის თემი სირც-ხვილს გადაარჩინა.

ამასობაში ზიმბაბვეც ჩამოვიდა და წყალ-ტუბოს მოტო-ოტელში დაბინაგდა. „ქეიფ-თაუნ კუტასში“ დიდი ღონისძიებათ და საბ-ჭოთა რაგბის მთელი ბომონდი, ქართველთა სიძის, აფიაციის გენერალ-მაიორ ვლ. ილი-უშინის თამადობით, ჩამობრძანდა ჩვენს ზე-იმზე, რომელიც მათთვის პანაშვიდი თუ გერა, უკანასკნელი მასკარადი კი უნდა ყოფილიყო.

თამაშის დღეს დიღიდან წევიძდა. მოედანი დალბა და დაიტბორა. ხალხი მაიც ბლომად მოვიდა. ვისაც ქოლგა არ პქონდა, ცელოფანი იყიდა და გადაიფარა. თბილისიდან რაგბის ქო-მაგები ავტობუსებით და ხაზის ტაქსებით ჩა-ვიდნენ ქუთაისს. მობრძანდა მდპ-ის ელიტაც.

ტესტამდე შეიძნენ ქუთაისელი და თბილი-სელი ვეტერანები, მერე კი ჩოხატაურელი და მარტივილელი ლელობურთელები. ბატონშა დუგლასმა ტრიბუნებს მქუხარე ტაში მოწყ-ვიტა ძალისმიერი სოლოთი და ძალიან შო-რიდან გატანილი ჯარიმით.

შოუ გაიწევდა და ჩამობნელდა. ისტორი-ული მატჩი 19 საათსა და 10 წუთზედა და-იწყო. გუნდები პიმნების მოსასმენად გამწ-კრიფდნენ. სტადიონი „დიდებას“ ელოდა, მაგ-რამ ოფიციოზმა მაიც საბჭოთა საქართველოს პანგი დააგვირევინა და ფლაგ შტოკზეც შინ-დისფრის ნაცვლად „ცისფერი მზე“ ააფრიალა.

საქართველო 16 ზომბაბვე 3

საქართველო: 15 ვანო საცერაძე†, 14 ალექ- ხედელიძე, 13 ოლეგ ლიბარტელიანი† ბბპ (16 კახა მაჩიტიძე 33), 12 მალხაზ ჭეთიშვილი, 11 ბათლომე ხამაშურიძე; 10 ნუგზარ ძაგნიძე, 9 მამუკა ლოსაბერიძე /

1 ზაზა ბაკურაძე, 2 თენგიზ ტურმელაძე, 3 ბესარიონ ლილუაშვილი (21 გელა ფირცხალავა 71); 4 თამაზ ხუადე†, 5 ალექსანდრე ისაკაძე (20 თამაზ თდიშარია 49); 6 თამაზ ფხაკაძე, 7 გია გიუნაშვილი, 8 დათო ლუდეშაური (მარქაფა: 17 ოლეგ ქორელიანი, 18 ემზარ გეგურაძე / 19 ზეგიად ლიბარტელიანი) -
ლ: ჯგუფური (ძაგნიძე); 4ს: ძაგნიძე

ზომბაბვე: (15-9) ბუნტენდახი, ძინომურუმბი, ლეჩერი, ლეიტინში, კამბა; ფერერა ბბპ, პოფმაირი / (1-8) ვოთსონი (დევიდსონი 25), ალბაზინი, გარფი; დეკლერკი, მაკინტოში; ნიალა, დოუსონი, ბოთა - ს: ფერერა

რეფერი გოჩა აბაშიძე; კიდევებზე: ბორის ზიმბაბვე და ზომბაბველი ზანგის ბიჭი

0:3(3) 3:3(5) 6:3(10) 10:3(35) / 13:3(48) 16:3(56)

სამშაბათი, 12 სექტემბერი, 1989 წელი; ქუთაისი, ცენტრალური სტადიონი (12 ათასი)

ხალხმა ეს გერ იგუა და სტენა ატეხა. ქო-
მაგობა იმაზე ნაკლები როდი ყოფილა, მერე
და მერე რუსეთი თბილისში რამდენჯერმე რომ
გვაძლევინა. არ წყდებოდა შეწყობილი ტაში
და ბუზიკის აკომპანიმენტით სიმღერა. „ბორჯ-
ლალოსნებს“ გულისმირზე ოქროსფერი შეგარ-
დენი ეხატათ. ავდარში ბურთაობა დიდი გე-
რაფერი სანახავი გამოვიდა, რაკი სტელი ბურ-
თი და მოედანი გაშლილად, ხელდახელ თა-
მაშის საშუალებას არ იძლეოდა. იყო მორკი-
ნალებით გაუთავებული ჯაგა-ჯუგი და ფეხით
ტაქტიკური დარტყმები. ერთი-ორჯერ ქარ-
თველმა ბეჭებმა მაიც მოახერხეს ხაზის გაჭრა,
მაგრამ ზომიერებაში უღალატათ.

ჩენები მალე დაწინაურდნენ და უსიტყვოდ,
13 ქულით გაიმარჯვეს. საქართველოს ყველა
ქულა, ოთხი საჯარიმო გოლითა და ერთი
ჯგუფურ-საჯარიმო ლელო (ლელო იმახა-
ნად ოთხი ქულა ღირდა), შესძინა ნუგზარ ძაგ-
ნიძემ, ვინც იმხანად კარიერის ზენიტში იყო.

დიდი იყო სიხარული. სტადიონზე შექრე-
ბილი ქართველობა ერთმანეთს უღოცავდა. მერე „თეთრ ქვებში“ გაიმართა საარაკო ლხინი,
რომელზეც ჩენება რჩეულმა ბიჭებმა მეორედაც
დაამარცხეს თეთრი აფრიკელები.

დიდ გამარჯვებას საკადრისი ასახვა ჭირ-
დებოდა, მაგრამ საქეში ისეგ შაგბნელი ძა-
ლები ჩაერიფნენ. სახელმწიფო ტელევიზიაშ
მატჩის რეპორტაჟი, არც ბირდაპირი და არც
ჩაწერილი, არ გადასცა. ჩანს, ვინმე ერთობ
ძლევამოსილს ხელს არ აძლევდა, რომ სრუ-
ლიად საქართველოს საათ-ხახევარი ეცირა
შინდისფრად შემოსილი 15 ქართველისთვის,
რომებიც ეროვნული დროშების ტყისა და
ნაციონალისტური „ლე-ლო, ლე-ლო, სა-ქარ-
თვე-ლოს“ აკომპანიმენტით არა-ოლიმპიურ
სახეობაში სამაგალითოდ გაიმარჯვებდნენ.

თითქო ბირი შეკრესო, იმ საღამოს სტადი-
ონზე არც პროფესიონალი ფოტოგრაფები ყო-
ფილან. ბრესაში ახალი სბორტული ებოქის
დასაწყისი მხოლოდ „ლელომ“ გააშუქა, რაკი
იმხანად სხვა გაზეთები არ გამოიცემოდა. და
მაიც, მატჩის სრული გიდეოცა და ფოტო-
ებიც არსებობს. შთამომავლობას ისტორია თა-
ვად რაგბის თემმა შემოუნახა: ვიდეო ნუგზარ
ბუგიანიშვილმა და ნოდარ ჩაჩანიძემ გადაიღეს,
ფოტო კი დაგვით თაქთაქიშვილმა და მიხეილ
ხარატმა. მართალია, ეს მასალები მერე მი-
მოიფანტა, მაგრამ 2009 წელს ქართული რაგ-
ბის ნახევარ-საუკუნოგანი იუბილე გველის და
მათ სამუზეუმოდ მოვაგროვებთ.

ბორჯლალოსანთა მონაგარი

1989-2005



72 თამაში

26 შინ, 36 გარეთ, 10 ნეიტრალურზე

41 გამარჯვება – 28 მარცხი, 3 ფრე

ქულა 1604 : 1443

ლელო 190 – 164

სულ (17 სეზონში) 160 ბორჯლალოსანი

88 ფორგარდი, 66 ბეჭი და 6 უნიგერსალი

ფორგარდებმა გაიტანეს 92 ლელო, ბეჭებმა 98

კაპიტნები (სულ ცამეტნი)

ილია ზედგინიძე 19 თამაში; ლევან ცაბაძე 12;
დიმიტრი ობოლაძე და ზურაბ მჭედლაშვილი
11; ნუგზარ ბაგნიძე 7; თლევა ლიანარტელიანი 3;
გასილ კაცაძე და დავით ბოლდაშვილი 2; ალექს
ხვედელიძე, თამაზ ფხავაძე, გია რაფაგა, განო
ნადირაძე და გია ლაბაძე – თითო

ღვაწლმოსილნი

პალიკო ჯიმშელაძე 44 ბორჯლალი (კეპი);
ზურაბ მჭედლაშვილი, ბესიკ ხამაშურიძე,
აქესენტი გიორგაძე და მახო ურჯუგაშვილი 38;
გია ლაბაძე 37; თედო ზიბზიბაძე 36; ილია
ზედგინიძე 35; განო ნადირაძე და ვასილ კაცაძე
34; ლევან ცაბაძე და ვიქტორ დიდებულიძე 33;
მეგლუე მოულიშვილი 30

ქულა

პალიკო ჯიმშელაძე 263 (7ლ 48გ 41ს 3ა); მახო
ურჯუგაშვილი 176 (9ლ 22გ 28ს ა); ნუგზარ
ბაგნიძე 105 (3ლ 9გ 22ს 3ა); კახა მაჩიტიძე 63
(2ლ 10გ 7ს 4ა); შოთა მოდებაძე 62 (3ლ 4გ 13ს);
ნიკო იურინი 53 (6ლ 4გ 3ს 2ა); ბობა კვინიხიძე
34 (ლ 4გ 7ს)

ლელო

ილია ზედგინიძე 11 (ორი საჯარიმო); ლევან
ცაბაძე და არჩილ ქაგთარაშვილი 10; მახო
ურჯუგაშვილი, ბესიკ ხამაშურიძე და თედო
ზიბზიბაძე 9; აქესენტი გიორგაძე, ვასილ კაცაძე
და გია ლაბაძე 8; ბალიკო ჯიმშელაძე 7; ნიკო
იურინი, ბადრი ხეხელაშვილი და გოდერი
შველიძე 6



(წინ) თემურ მინდიაშვილი, გელა ფირცხალაგა, კახა გაბრიჩიძე, ნიკოლოზ ნემსიწერიძე, თენგიზ ტურძელაძე, მამუკა ლოსაბერიძე, ავთო გიორგაძე†, ზაზა თხელიძე, ბაატა ძოწენიძე, ალექსანდრე გრიგალაგა, თამაზ ფხავაძე, მიშა ხარშილაძე

(უპან) როზბერტ ობოლაძე, ოლეგ ლიბარტელიანი †, გია წივწიფაძე†, ალექსანდრე ნაჭყბია, ბესარიონ ლილუაშვილი, გრიგოლ გაბუნია, ბადრი შვანგირაძე, დუგლას კავთელაშვილი, ბათლომე ხამაშურიძე, თამაზ ოდიშარია, ალექსანდრე ლიკლიგაძე, ნუგზარ ძაგნიძე

უურნალი „რაგბი“ №5 (2001): „აია“ 35 წლისაა!

სსრპ ასპარეზზე

1977 მე-16 (მე-6 პირგელ ლიგაში)
1978 მე-9
1979 მე-9
1980 მე-7
1981 მე-7
1982 მე-5
1983 მე-6
1984 მეორე
1985 მესამე
1986 მე-8
1987 პირგელი და თასი
1988 პირგელი
1989 პირგელი
1990 მე-4 და თასი

✿ ქუთაისელი ბორჯლალოსნები

საქართველოს პირგელობაზე

1990 პირგელი
1991 პირგელი
1992 მეორე
1993 მესამე
1994 მესამე
1995 პირგელი
1996 მე-4
1997 მეორე
1998 მე-8 (ბოლოსწინა)
1999 მე-8 (ბოლო)
2000 მე-6 (პირგელი „ბ“ ჯგუფში)
2001 მე-4
2002 მე-6 (გავარდა „ბ“ ჯგუფში)
2003 მე-7 (პირგელი „ბ“ ჯგუფში)
2004 მე-6 (გავარდა „ბ“ ჯგუფში)

ნიგა აბდალაძე, დავით აშგეთია, გუგა ბაბუნაშვილი, ემზარ გეგუჩაძე, აქვსენტი და ირაკლი გიორგაძეები, დავით დადუნაშვილი, თედო ზიბზიბაძე, დავით იობიძე, ალექსანდრე ისაკაძე, ავთანდილ კობალიანი, ბესო ლილუაშვილი, ზვიად და ოლეგ ლიბარტელიანები, მამუკა ლოსაბერიძე, ალექს მარგველაშვილი, კახა მაჩიტიძე, საშა ნაჭყებია, ირაკლი ნინიძე, თამაზ ოდიშარია, ზურაბ რეხვიაშვილი, ბაატა სანებლიძე, თენგიზ ტურძელაძე, ბაატა ტყაბლიძე, გელა ფირცხალაგა, თამაზ ფხავაძე, ემზარ შანიძე, ბადრი შვანგირაძე, ემზარ და ნუგზარ ძაგნიძეები, ბაატა ძოწენიძე, ბათლომე და ბესიკ ხამაშურიძეები, მიშა ხარშილაძე, ტიხონ ხახალეიშვილი, გოჩა ხონელიძე, კოტე ჯინჭარაძე

თუ „ევროპა 3“-ად მოგხვდით

მარტში 2007 წლის რაგბის მსოფლიო თასის პრეზიდენტი, ფრანგი ბერნარ ლაპასე და შპს „მსოფლიო თასის“ თაგვჯდომარე, ორლანდიელი დოქტორი სიდ მილარი მედიას პარიზში წარუდგნენ და „გებ ელისის თასის“ მეექენე გათამაშების გამოწვლილვითი განრიგი წარუდგინეს.

20-გუნდა ტურნირი 44 დღეს გასტანს. 40-მატჩა ბულური სტადია სექტემბერში მოთავსდება, 8-მატჩა ბლეი-ოფი კი ოქტომბერში გაიმართება. თამაშები 10 ფრანგულ ქალაქში მოეწყობა. ეგენი არიან:

სან დენი (სტად დე ფრანსი), ბარიზი (ბარკ დე ბრენსი), მარსელი, ლიონი, სანტ ეტიენი, ტულუზი, მონბელიე, ბორდო, ნანტი და ლანსი. უელსი სამ მატჩს შინ, კარდიფში გამართავს, შოტლანდია კი ორს, ედინბურგში.

48 მატჩიდან 36 უიკენდზე (ბარასკევი, შაბათი და გვირა) მოეწყობა. თამაშები ერთმანეთს არ გადაფარაგს. ყველა ფრანგული ქალაქი და კარდიფი მინიმუმ სამ მატჩს უმასპინძლებს. უელსშივეა დანიშნული ის მეოთხედფინალი, რომელშიც ნაღდად გავაფანთა გულის მპყრობელი, ახალი ზელანდის „ოლ ბლექსი“.

ორი მეოთხედფინალი მარსელის „გელოდრომზე“, ორიგე ნახევარფინალი კი, სან დენის „სტად დე ფრანსზე“. იქნება გაიხსნება ბირველობა და გაიმართება სათასო ფინალი.

საქართველო მსოფლიო თასის შერჩევაში 2006 წლის შემოდგომიდან ჩაებმება, ჯერჯერობით კი „ერთა თასზე“ მორაგბე „ბორჯდალოსნები“ უკეთესი სასტარტო პოზიციისა და განრიგის დასაბეჭებლად მეცადინეობები.

თუ ძალითა თანაფარდობა დამდეგ წელიწადნასეგარში რადიკალურად არ შეიცვალა და „ბორჯდალოსნებმა“ 2006 წლის ნოემბერში, მეექენე სტადიის „შინ და გარეთ“ რკენაში აჯობეს ბორტუგალიას, მაშინ საქართველო ფინალურ სტადიაზე „ეგრობა 3“-ად მოხვდება, დ ბულში მიაკითხავს საფრანგეთსა და ორლანდიას, და ეთამაშება:

სამშაბათს, 11 სექტემბერს, ლიონში
სამხრეთ ამერიკას (არგენტინა)

შაბათს, 15 სექტემბერს, ბორდოში
იოლანდიას

ოთხშაბათს, 26 სექტემბერს, ლანსში
აფრიკა 1-ს (ნამიბია)

და კვირას, 30 სექტემბერს, მარსელში
საფრანგეთს



იხილეთ ნახაზი ორი
გერდის შემდეგ

რაგბის VI მსოფლიო თასი

2007 წლის შემოდგომა: საფრანგეთი, უელსი, შოტლანდია

ბულური სტადია: 7 – 30 სექტემბერი

მუდამიანი მატჩები

- 7/09 (დ) საფრანგეთი – სამხ. ამერიკა (სან დენი)
14/09 (გ) ინგლისი – სამხ. აფრიკა (სან დენი)
15/09 (გ) უელსი – ავსტრალია (კარდიფი)
21/09 (დ) საფრანგეთი – ორლანდია (სან დენი)
23/09 (გ) შოტლანდია – ა. ზელანდია (ედინბურგი)



ბლეი-ოფი: 6 – 20 ოქტომბერი

მეოთხედფინალი

- 6/10 ბ1 – ა2 (მარსელი), ბ1 – ღ2 (კარდიფი)
7/10 ა1 – ბ2 (მარსელი), ღ1 – ბ2 (სან დენი)

ნახევარფინალი

- 13/10 6 ოქტომბერს გამარჯვებულები (სან დენი)
14/10 7 ოქტომბერს გამარჯვებულები (სან დენი)

შესამჟადებლივი მოვალეობები

- 19/10 ნახევარფინალში დამარცხებულები (ბარიზი)

თასის ფინალი

- 20/10 ნახევარფინალში გამარჯვებულები (სან დენი)

პროგრამა-მინიმუმი: მესამე ადგილი!

რაგბის საერთაშორისო საბჭომ (ირბ) 2007 წლის მსოფლიო თასის შესარჩევთა სისტემა შარშან ზაფხულში დაამტკიცა. შეჯიბრი უწინდებურად ხუთ რეგიონში (ევროპა, აფრიკა, ამერიკა, აზია, ზღვისრეგიონი) იმართება და გამოაფლენს ფინალის 12 მონაწილეს, რაღაც ბოლო მსოფლიო თასის რვაგვე მეოთხედფინალისტი საფრანგეთში ახლავეა დაპატიუებული და პულებშიც ორ-ორად განაწილებული.

შერჩევის პროცესი ტრადიციულად მრავალ-საფეხუროვანია და ხარჯის შესამცირებლად მაქ-სიმაღლურადაა მორგებული არსებულ რეგიონულ შეჯიბრებებს. რაც ევროპაში მონაწილე ყველაზე მეტია და „ერთა თასიც“ ექვს ლიგად თა-მაშებბა, აქაურმა პირ-მა სხვებზე ჩახლართული ფორმულა შეიძუშაგა.

პროცესი 2004 წლის სექტემბერში დაიწყო, ბოლო თუ ფინალისტს კი 2007 წლის გაზა-ფხულზე აქეთ ევროპა – აფრიკა – ამერიკის და იქით ზღვისრეგიონი – აზიის რეგიული გამოაფლენს.

საქართველოსა და „ერთა თასის“ სხვა მონა-წილეებს შერჩევის სამი საწყისი რაუნდი არ ეხებათ. ვიდრე 24 არიფი ერთ რჩეულს გამოაფ-ლენდეს, ამრის ელიტის ექვსი წევრი ჩეცულ ყაიდაზე, თუ წრედ, მიმოსვლით, თრი სეზონის განმავლობაში გაითამაშებს თასს და რაც მთა-გარია, გაარკვევს, თუ ვინ რომელი (მეოთხე თუ მეხუთე) რაუნდიდან ჩაებმება შერჩევაში და გა-დამწყვეტ მატჩს ვის მოედანზე გამართავს.

დიახ, მოედნის ფაქტორი ურთულეს, მეხუთე რაუნდში ძველებურად გადამწყვეტი იქნება, რაკი შეჯიბრი მასზე ერთ (!) წრედ იმართება. აქედან გამომდინარე, 2005/06 წლების „ერთა თასზე“

(ორი სეზონის ჯამში) მეოთხე ადგილის დაგა-გებაც კი დამლუბებულია, რაღაც ამ პოზიციაზე დარჩენილმა გუნდმა ჯერ მეოთხე რაუნდში, ორ-მატჩა (შინ და გარეთ) დუელში უნდა მოისტუმ-როს „ერთა თასის“ მაჩანჩალა, მერე კი, მეხუთე რაუნდში, „ერთა თასის“ მესამე გუნდს ეწვიოს.

ამავე რაუნდში ეს გუნდი, რა თქმა უნდა, ში-ნაც ითამაშებს, ოლონდაც „ექვსი ერთს“ მონა-წილე იტალიასთან, რაც მსოფლიო რაგბში დად-გენილი უფროს-უმცროსობიდან გამომდინარე, მანც დამაინც სახარბიერო ბერსაჟეტიდა ერთა. „ამური“ პულს უპრობლემოდ მოიგებს და ფინა-ლის საგზურს პირდაპირ მოიბოვებს, მაგრამ მეორე ადგილზე დარჩენილიც გაავრძელებს ბრძოლის მესამე ევროპული გაკანსილების.

აქედან „ბორჯლალოსანთა“ პროგრამა-მინიმუმი ნათელია: მესამე ადგილი! მეორე პოზი-ცია მესამეს ოდენ იმით სჯობს, რომ საშინაო მატჩი უფრო სუსტ მეტოქესთან, „ერთა თასის“ მეხუთე გუნდთან გვექნება, გასვლაზე კი ჩემბი-ონს უნდა გვახლოთ.







სისტემა ევროპული რაგბის მამებს ისე გა-უთვლიათ, რომ მეექსე რაუნდში ფინალის მესა-მე საგზური გაუკაცურად, თუ მატჩში, „ერთა თასის“ ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორებმა გაითამაშონ. აქედან ცხადია, რომ ოდენ რუსე-თის შინ ჯობნა მსოფლიო თასზე გასასვლელად გელარ გვეყოფა.

სხვაფრიგ, მეექსე რაუნდში ხელმოცარულს იმედად კიდევ დარჩება თუ-რაუნდა რეპეშაჟი, მაგრამ ეგეც ნაღდია, რომ წინა თუ მსოფლიო თასზე ევროპელებს ამ გზით სანუკვარ ოცე-ულამდე ვერ მიუღწევიათ.

ერთა თასი (ეთ) 2005-2006

2004	20/11	რუსეთი - საქართველო	15:27	19/03	რუმინეთი - უკრაინა	97: 0
		უკრაინა - ბორტუგალია	6:36		ჩეხეთი - რუსეთი	11: 7
	27/11	ჩეხეთი - რუმინეთი	14:38	4/06	რუსეთი - ბორტუგალია	16:18
2005	5/02	ბორტუგალია - საქართველო	18:14	11/06	რუმინეთი - ბორტუგალია	*
	26/02	საქართველო - უკრაინა	65: 0		რუსეთი - უკრაინა	*
		რუმინეთი - რუსეთი	33:10	12/06	საქართველო - ჩეხეთი	*
		ბორტუგალია - ჩეხეთი	19:13			
	12/03	საქართველო - რუმინეთი	20:13			
		ჩეხეთი - უკრაინა	42: 5			
				მეორე წრე: 2005 წლის შემოდგომიდან 2006 წლის ივნისამდე		

გიბე: ბორტუგალია 4-0, რუმინეთი და საქართველო 3-1, ჩეხეთი 2-2, რუსეთი და უკრაინა 0-4



გზამკვლევი

პირდაპირ
გადის შემდეგ
რაუნდში

ხელმოცარული
გადის საშუალებით
რაუნდში

სტატუსი
გვინდება ფინალში
გვინდება № -დად

შ და ბ შინ და გარეთ
ზ + ბ ნაწილი შინ,
ნაწილი გარეთ

\$ ფინალში ხვდება
“ რეპეშაჟის გაცემით ”



მარტივად ახსნილი რაგბი

გუნდი

გუნდიდან მოედანზე 15 კაცია. სათადარი-გო შვიდია და ნებადაროთულია შვიდი შეცვლა. დასისხლიანქული მოთამაშე მოედნიდან უნდა გავიდეს და მანამ არ დაბრუნდეს, სანამ თავს არ მოიწესრიგებს.

დრო

თამაში ორ ტაიმად იმართება. თითოს ხან-გრძლიობა 40 წუთია. ამას ემატება ტრაფმა-თა, შეცვლათა და მსაჯთა თათბირის გამო გაცდენილი დრო. ერთი კია, ტაიმი არ თავ-დება გაგანია ბურთაობაში, საჯარიმო და თა-ვისუფალ დარტყმებზე; სამაგიეროდ, დროის ამოწურვის შემდეგ ბირეველივე აუტი, შერკი-ნება, 22-დან განახლება და ლელოს გარდა-სახვა ტაიმის ბოლოს მომასწავებელია.

ხეირის წესი

მსაჯობის მთავარი პრინციპი ხეირის (უბი-რატესობის) ამოქმედებაა. როცა ერთი გუნდი წესს არღვევს, მსაჯი უმაღლ კი არ სტანქნის, არამედ შეტოქეს იერიშს აცლის და მხოლოდ მაშინ, როცა მართალი გუნდი გეღარ ხე-ირობს, ნიშნავს ადრინდელი დარღვე-ვის სარგო სასჯელს.

ქულები

ბურთის გატანა ხდება თოხი ხერხით. ლელო 5 ქულად ფასობს. ამის შემდეგ გუნდი კარში ურტყამს გარდასახვას და თუ შეაგდო, კიდევ 2 ქულა ემატება.

გოლის გატანის სხვა ორი ხერხია საჯარიმო და არეკნი (თამაშის დროს ბურთის მიწაზე დაგდება და ფეხის მა-შინ ამორტუმა, როცა ბურთი მიწიდან ხტება). ორიგე 3 ქულად ფასობს.

ლელო გაიტანება მეტოქის ლელო-ში ბურთის დამიწებით. თუ გუნდი ბურთს თავის ლელოში დაამიწებს, მას ლელო დაცულად ეთვლება.

დარღვევები

ბურთის წინ გადაწოდება ან ხელიდან წინ დაგარღნა ისჯება შერკინებით.

თამაშგარე (ოფსაიდი) ჯარიმა. ლია თამაშ-ში ოფსაიდშია ყველა შემტევი, ვინც კი ფეხის დარტყმის მომენტში თანაგუნდელი დამრტყმე-ლის წინაა. ესენი ოფსაიდიდან ან თავად უნდა გავიდნენ, ან დამრტყმელმა გაიყვანოს, როცა წინ აირბენს და მათ გაუსწორდება.

სხვაგვარი თამაშგარე მოქმედებს ბოჭვაზე, რაქში (ძირს დებული ბურთისთვის ზეზეულად ბრძოლაში), მოლში (ბურთისთვის დგომელა ჭიდილში), შერკინებაში და დერეფანში.

ამისი არსი ისაა, რომ ვინც კი იმ მომენტში ბურთისთვის არ იბრძების, მებრძოლ თავისი-ანთაგან უკანასკნელზე უკან უნდა დაიხიოს, დერეფანში კი ამის შეა ხაზს სულაც 10 მეტ-რით დაშორდეს.

სადათ ბურთი

დერეფანსა და შერკინებაში ბურთი შუაში უნდა მოაწოდონ. შერკინებაში აუცილებლად რგა კაცი უნდა ჩადგეს. დერეფანში ნებადარ-

სამატჩო რაზმი

ფორვარდები	ბეგები
დამწყებები (15-ეული)	
1 მარცხენა ბურჯი	9 პავბეკი
2 პუპერი (კაჭი)	10 ბიგოტი (ხუთი მერგელი)
3 მარჯვენა ბურჯი	11 მარცხენა გარემარბი
4 მეორე ხაზელი	12 ბირველი შუამარბი
5 მეორე ხაზელი	13 მეორე შუამარბი
6 მოქლე ფრთა	14 მარჯვენა გარემარბი
7 გრძელი ფრთა (მღლეტელი)	15 ფულბეკი
8 მესამე ხაზი	


სათადარივოები (მარქაფა)

16 პუპერი	20 პავბეკი
17 ბურჯი	21 შუა ბეგი (10, 12, 13)
18 მეორე ხაზელი	22 უკანა ბეგი (11, 14, 15)
19 მარბიელი (6, 7, 8)	

თულია ბურთის მოსაგებად ამხტარი კაცის-თვის ხელის შეშველება.


თუ გაგანია თამაში მეტოქე ბურთიანს და-იჭერს და წაპეტევს (შებრძანეს!), ამან ბურ-თით უმაღლ უნდა ითამაშოს, თორემ დაჯარიძ-დება. მოიერიშე ყველაზე ხშირად ამ წესს არ-ღვევს.

შემტევი გუნდი კიდევ ჯარიმდება გზის შეკვრისთვის (ბლოკირება; ანუ როცა მეტო-ქეს შენს გუნდელ ბურთიანთან არ მიუშვებ).



როცა ბურთი ჩაიწურება, ინიშნება შერკი-ნება. ბურთს მასში აგდებს ის გუნდი, გინც წინ მიიწევდა, მაგრამ თუ გუნდმა ბურთი მო-ლიდან ვერ გამოიტანა, შერკინებაში შესაგ-დებად ბურთი მეტოქეს გადაეცემა. იგივე სდება მაშინაც, როცა გუნდი მოგებულ ბურთს შერ-კინებიდან მის მოტრიალებამდე ვერ გამო-იტანს.

თუ ბურთი აუტში თამაშ-თამაშ გავიდა, დერეფანში მას მეტოქე მოაწედის, მაგრამ თუ ბურთი კიდეზე ჯარიმიდან დაარტყებს, აწედის ჯარიმის დამრტყმელი გუნდი. ეს მძლავრი სა-იერიშო ხერხია.



ხეირი ამ გუნდს

ლელლ!

ფენით თამაში

თუ ბურთი აუტში საგუთარი 22-მეტრა საზის უპნიდან, ან ჯარიმიდან დაარტყებს, დე-რეფანი დადგება იქ, სადაც ბურთი აუტში გადავიდა, მაგრამ თუ ბურთი 22-ის გარედან დაარტყებს აუტში, იგი კიდეზე გადასვლამდე ჯერ მოედანში უნდა დავარდეს, თორემ დერე-ფანი დარტყმის ადგილის გასწვრივ მოეწყობა.

ტაქტიკა

რაგბში არ არსებობენ ცალკე თავდამსხ-მელები და ცალკე მცველები: ყველა პრობლემაშიც და იცავს თავს.

ყოველი სასტვენის მერე თამაშს იწყებენ ფორვარდები (მორკინალები).


ამათი მიზანია, პირდაპირი, ძალისმიერი მი-მალებით ბურთი წინ წაწიონ და მოედნის მცი-რე უბანზე მიიზიდონ მეტოქის ჭარბი ძალა.

როცა კი ეს მოხდება, ჰავბეცი ბურთს მის-ცემს ბეგებს (უგანა ხაზელებს), რათა ამათ მო-ედნის ვრცელსა და გაუხშოებულ უბნებზე, უკან დამხევი დაცვის წინაშე, თავიანთი სი-მარდის წყალობით, გამოიყენონ რიცხობრივი მეტობა.

გიდრე ეს მოხდება, შემტევს ხშირად ზედი-ზედ უწევს მიძალება. ამას იერიშის ფაზა ჰქვია.

ყოველი ფაზის შემდეგ მოქმედებს ოფსა-იდა, ხდება ტერიტორიის გამიჯვნა და ორიგე გუნდი გადაჯგუფდება ხოლმე.

თუ დამცველი ამ დროს შემტევს ბურთს აართმევს, მაშ, თერნოვერი მომხდარა და დამცველს უკვე თავად შეეძლება შეტევა.





საქართველოს პოლკლადოსნები

ბეგები (უბანა ხაზი)	შე	ქულა
უქან (15, 11, 14 “ 22)		
.. ოთარ ბარკალაძე	ლელო	21 11 2გ 1ს 1ა 10
.. ირაკლი მაჩხანელი	აკადემია	24 14 2ლ 10
.. გიორგი ელიზბარაშვილი	აკადემია	21 3 0
.. თემურ სოხაძე	ყოჩები	20 - ახალბედა 0
შუაში (13, 12 “ 21)		
.. თედო ზიძზიძაძე	გურდონი სზრ	25 36 9ლ 45
.. ირაკლი გიორგაძე	ბურგუენი სზრ	23 13 0
.. ლაშა ფირფილაშვილი	ლელო	22 7 0
პიგოტი (10)		
.. მახო ურჯუკაშვილი	აკადემია	25 38 9ლ 22გ 28ს 1ა 176
ჰაგბეგი (9 “ 20)		
.. ბიძინა სამხარაძე	ლოკომოტივი	22 6 0
.. მეგო გვირიგაშვილი	ლელო	22 11 4ს 12

ფორმარდები (უერკინება)

პირები ხაზი (1, 2, 3 “ 16, 17)	შე	ქულა
.. გოდერძი შველიძე	კლერმონი სზრ	27 29 6ლ 30
.. აქესენტი გიორგაძე	როგიგო იტა	29 38 8ლ 40
.. დავით ზერაქაშვილი	კლერმონი სზრ	22 5 1ლ 5
.. მიხეილ სუჯაშვილი	ენისეი რშს	28 5 0
.. დავით გასფიანი	შალონი სზრ	24 2 0
მეორე ხაზი (4, 5 “ 18)		
.. ილია ზედგინიძე ბბპ	ორლეანი სზრ	28 35 11ლ (19 გაპ) 55
.. მამუკა გორგოძე	ლელო	21 13 3ლ 15
.. ლევან დათუნაშვილი	გიერზონი სზრ	22 4 0
მესამე ხაზი (6, 7, 8 “ 19)		
.. რატი ურუშაძე	ენისეი რშს	30 8 2ლ 10
.. დავით ბოლდაშვილი	აკადემია	26 27 3ლ (2 გაპ) 15
.. ბესო უდესიანი	შალონი სზრ	26 11 0
.. ილია მაისურაძე	ნანტი სზრ	28 7 0

მდგრადი: მაღნაზ ჭეიშვილი, დავით ჩავლეიშვილი, პაატა ნარიმანაშვილი